>> www.kas.de/leitlinien

>> www.kas.de/soziale-marktwirtschaft

Konrad Adenauer Stiftung

კეთილდღეობის, სოციალური თანასწორობის და სტაბილური ეკონომიკის ძირითადი პრინციპები

შინაარსი

3 პრეამბულა

3 ძირითადი პრინციპები

1. სამართლებრივი სახელმწიფოს წყობა 4
2. საკუთრების რეგულირება და დასაქმება 4
3. კონკურენცია როგორც საფუძველი 4
4. პასუხისმგებლობის პრინციპი – კონკურენციის საფუძველი 5
5. ეკონომიკური ჩარჩო პირობების სტაბილურობა 5
6. სახელმწიფოს მხრიდან საჯარო ქონების დაფინანსება 5
7. სოლიდარობა და სოციალური უზრუნველყოფა 5
8. წახალისების პრინციპი 5
9. სტაბილურობა 6
10. ღია ბაზრების პოლიტიკა 6

5 გლობალურ, სოციალურ და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელის წარმატების წინაპირობები

მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევა საერთაშორისო წესების შემუშავებას მოითხოვს. სოციალური საბაზრო ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკის მოდელი სწორედ იმგვარ წესებს გვთავაზობს, რომლებიც სიტუაციის დარეგულირებშიც დაგვეხმარება და ამასთანავე მისაღები იქნება ყველა სახელმწიფოსათვის. ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირის ვალდებულნი არიან შექმნან "კონკურენტუნარიანი სოციალური საბაზრო ეკონომიკა". ევრო კავშირის ინსტიტუციებმა და განსაკუთრებით ევროპარლამენტმა ცოტა ხნის წინ დაამტკიცეს, რომ ისინი ამ მოდელის მხარს უჭერენ, თუმცა უკეთესი შედეგის მისაღწევად საჭიროა ამ წესებსათვის საერთაშორისო მნიშვნელობის მინიჭება. ევროკავშირის წამყვანმა პოლიტიკოსებმა და მეცნიერებმა მიზნად დაისახეს შემდეგი ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობა:

პრეამბულა

მსოფლიოში ეკონომიკა და პოლიტიკა სულ უფროდაუფრო მეტად ეჯაჭვება ერთმანეთს, რაც სახელმწიფიების განვითარებასა და კონკურენციას უწყობს ხელს. უმჯობესდება განათლების ხარისხი, ძლიერდება სოციალური ინფრასტრუქტურა და მცირდება სიღარიბე. მიუხედავად ამ ყველაფრისა მშვიდობას, თავისუფლებას და სამართლიანობას მაინც ემუქრება საფრთხე. მსოფლიოს არათანაბარი განვითარება ქმნის პოლიტიკურ და სოციალურ დაძაბულობას. არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევა კი, მხოლოდ საფინანსო ბაზრებისათვის შექმნილი საერთაშორისო წესებითაა შესაძლებელი, რაც მოითხოვს ერთობლივ გააზრებას მდგრადი ეკონომიკის შესაქმნელად. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე მივაღწიოთ შეთანხმებულ მოქმედებას, რაც საშუალებას მოგვცემს საერთო პრინციპებითა და ღირებულებებით შევქმნათ კეთილდღეობა, სოციალური სამართლიანობა და მდგრადი ეკონომიკა. ამასთანავე უნდა დავიცვათ გლობალიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი პოზიტიური ძვრებს საფრთხისაგან, რაც გამოწვეული იქნება რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე წარმოქმნილი პროტექციონიზმით.საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირება, დემოკრატიის ლეგიტიმაცია და ადამინთა ღირსებების ხელშეუხებლობა – ეს არის საფუძველი რასაც უნდა დაეფუძნოს ამგვარი კონსესუსი კულტურული და საზოგადოებრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ძირითადი მიმართულებები

ძირითადი პრინციპებია სოლიდარობა და სუბსიდირება. სოლიდარობის მეშვეობით საბაზრო ეკონომიკა ორიენტირებულია კეთილდღეობაზე. სუბსიდირება კი, ქმნის და უზრუნველყოფს კერძო ინიციატივებისა და პირადი პასუხისმგებლობის წარმოქმნას.

1. სახელმწიფოს სამართლებრივი მოწყობა

ქმედითუნარიანი, სანდო და დემოკრატიულად ლეგიტიმური სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს საფუძველს ეფექტური და მდგრადი ეკონომიკური საქმიანობისათვის. ის ქმნის წინაპირობას წარმატებული ეკონომიკისა და ქმედითუნარიანი, ხალხის მიერ არჩეული სახელმწიფო მართვისათვის ქვეყნის ეფექტური მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით. მარეგულირებელი ელემენტები და პროცეზე დაკვირვება საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს წესების დაცვა და ამასთან დაისაჯოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა ეს არ არის ამ კანონის თვითმიზანი. რეგულირება სათანადო და გამართებულია, ვინაიდან იგი კონკურენტულ პირობებში საშუალებას გვაძლევს სტიმულირების საფუძველზე ცალკეული, დეცენტრალიზებული ქმედებები საბოლოოდ საზოგადოებრივად და პოლიტიკურად სასარგებლო შედეგებამდე მივიყვანოთ.

2. საკუთრების რეგულირება და დასაქმება

ეფექტური და ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს კერძო საკუთრების რეგულირებაზე, რომელიც კერძო მეწარმესა და საოჯახო ბიზნესს მიანიჭებს ქონებაზე საკუთრების უფლებას. კერძო საკუთრება ქმნის გადამწყვეტ სტიმულს შრომის შედეგად შემოსავლების შექმნაში. სწორედ ესაა ინოვაციური მეწარმეობის საფუძველი. მხოლოდ კერძო, საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური წყობა უზრუნველყოფს ხანგრძლი დასაქმებას. ამგვარად, წარმოიქმნება კერძო პასუხისმგებლობა და კერძო ინიციატივა, რის გარეშეც წარმოუდგენელია საკუთარ შესაძლებლობების, განათლების გამოყენება, ინოვაციების დანერგვა. კერძო საკუთრებას ახასიათებს კონკურენციაზე დამყარებული გარემოს შექმნა, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები თავიანთ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას. საკუთრების მცნება მოიცავს სოციალურ პასუხისმგებლობასაც, რისი დაცვაც, ამასთანავე, საყოველთაო კეთილდღეობის შექმანასაც უნდა ემსახურებოდეს. ეს უზრუნველყოფს გაწონასწორებულ, ხანგრძლივ სამეწარმეო საქმიანობას და გამორიცხავს ცალმხრივ და ხანმოკლე რენტაბელურობას.

3. ეკონომიკური განვითარების საფუძველი – კონკურენცია

თავისუფალ ფასებზე დამყარებული მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მოდელი ხელსაყრელ პირობებს ქმნის დეფიციტური რესურსების გადანაწილებისათვის. ქმედითუნარიანი კონკურენცია მდგრადი ეკონომიკის შესაქმნელად მამოძრავებელ ძალაა. ის ხელს უწყობს ეფექტურობასა და წარმატების მიღწევას, აძლიერებს პასუხისმგებლობას და ხელს უშლის ბაზარზე ცალმხრივ დომინანტობას. საბაზრო ეკონომიკური მოდელი მოითხოვს როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო ღია ბაზრებს, სადაც კონკრეტული ქვეყნები და სახელმწოფოთა თანამეგობრობები გააკონტროლებენ ბაზრებზე მონოპოლიას. კონკურენცია ემყარება წარმატებისა და შანსების თანასწორობას.

4. პასუხისმგებლობის პრინციპი

მიუხედავად კონკურენციის წარმოქმნის თავისუფალებისა, პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფა არ შეიძლება. მოგების შანსები ხელს უწყობს კონკურენციას. წაგების შემთხვევაში თავდებობა თვიდან გვარიდებს უპასუხისმგებლო და გადაჭარბებულ ქმედებას.

5. ეკონომიკური ჩარჩო პირობების სტაბილურობა

საბაზრო ეკონომიკური მოდელისათვის საჭიროა ხანგრძლივ დროზე გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკა და შეძლებისდაგვარად სტაბილური მაკროეკონომიკა. ეს ეხება როგოც ეროვნულ ასევე საერთაშორისო საფინანსო ბაზრებს. სტაბილური ეკონომიკური სისტემის პირობებში ინვესტიციები და მომხმარებელთა გადაწყვეტილებები განაპირობებენ ნდობის ფაქტორს. ამასვე გულისხმობს პროტექციონისტულ ღონისძიებებსა და ისეთ საფინანსო პოლიტიკაზე უარის თქმა, რომელიც ორიენტირებულია ხანმოკლე, ეროვნულ ეკონომიკასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

6. სახლმწიფოს მხრიდან საჯარო ქონების დაფინანსება

საბაზრო ეკონომიკური მოდელის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ქონების დაფინანსება, თუკი ამას ბაზარი ნაწილობრივ ან ვერ ახერხებს. ქმედითუნარიანი ინფრასტრუქტურა, საფუძვლიანი განათლების შანსები და ჯანმრთელობის დაზღვევის ხელმისაწვდომობა – ეს ის სფეროებია რის განვითარებაშიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა. სოციალური საჭიროებების შემთხვევაში ნაწილობრივ მან თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა განსაზღვრული დოზით უნდა ხდებოდეს.

7. სტაბილურობა და სოციალური დაზღვევა

ეკონომიკური ზრდა ხელსაყრელ პირობებს ქმნის სიღარიბის დასაძლევად, თუმცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვერ მოხერხდება შემოსავლებს შორის განსხვავებისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დისკრიმინაციიის თავიდან აცილება. შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკური წყობის პირობებში საჭიროა სოციალური დაზღვევის მოქმედი სისტემა. ასევე, შესაბამისი მექანიზმები რეგიონების გასათანაბრებლად და შედეგზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა, რათა დაცულ იქნას სოციალური მშვიდობა და მოსახლეობის ფართო ფენებს საშუალება მიეცეთ სათანადო მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

8. წახალისების პრინციპი

საბაზრო ეკონომიკურ წყობის დროს სახელმწიფო ვალდებულებების დაფინანსებისათვის, საჭიროა წახალისებაზე ორიოენტირებული საგადასახადო სისტემის შექმნა, მაგრამ ეს სისტემა ისე არ უნდა მოეწყოს, რომ წახალისება შემცირდეს და საბოლოოდ გაქრეს კიდევაც.

9. სტაბილურობა

ყოველი ეკონომიკური მოდელი თავისი ხანგრძლივვადიანი შედეგების მიხედვით უნდა გაიზომოს. სტაბილურობა არის ეკოლოგიური, სოციალური და ფისკალური თვალსაზრისით წარმატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი და გამოხატულება თაობათაშორისი თანასწორუფლებიანობისა. პასუხისმგებლობასა და გარანტიაზე დამყარებული სამართლებრივი წყობა აძლიერებს სტაბილურობას. განსაკუთრებით, კლიმატური გარემოსა დაცვის აქტიური პოლიტიკა არის ეკონომიკური და მორალური ვალდებულება მომავალი თაობის ბუნებრივი საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად.

10. ღია ბაზრების პოლიტიკა

ვიწრო, ეროვნული მიდგომა კრიზისის დაძლევაში ვერ დაგვეხმარება. პირიქით, მას შეუძლია ეკონომიკური ზეგავლენის შედეგები გააუარესოს. გადამწყვეტია ღია ბაზრების კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავება და სამართლიანი თამაშის წესების გათვალისწინება. პროტექციონიზმისა და ეკონომიკური ნაციონალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა საერთაშორისო ინსტიტუციების გაძლიერება. ორიენტირებული ეკონომიკის და ღირებულებების სისტემის ფარგლებში ეროვნულ დონეზე წარმატებით მუშაობს, საჭიროა საერთაშორისო დონეზეც იქნას გატანილი. ეს პრინციპები აერთიანებს თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს ყველას საკეთილდღეოდ. ისინი განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს საფინანსო ბაზრებსა და მსოფლიო სავაჭრო სისტემაში. აუცილებელია მათი ლეგიტიმაციის საზღვრების გაფართოება. ასევე, ქმედითუნარიანობის გამტკიცება, მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ინსტიტუციებთან და ინტეგრაციული, კოოპერატიული ფორუმების შექმნა, რის საფუძველსაც წარმოადგენს სანდო, სამართლებრივი და სუბსიდიებზე ორიენტირებული დემოკრატიული სისტემა. პოლიტიკური კონკურენცია და პოლიტიკური თანამონაწილეობა სხვადასხვა ერებში ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას და საერთაშორისო საზოგადოებისა და ეკონომიკურ წყობის სტაბილურობას. სწორედ ამგვარი სისტემის პირობებშია შესაძლებელი დამოუკიდებელი მედიისა და ორგანიზაციებისგან საჭირო ინფორმაციის მიღება. პოლიტიკის, ეკონომიკის და საზოგადოების წარმომადგენლების კონსესუსი და ერთიანი გააზრებული ინტერესები, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, წარმოადგენს წინაპირობას „საერთო კეთილდღეობისათვის“.

გლობალურ, სოციალურ და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელის წარმატების წინაპირობები

ღია და გლობალურ ეკონომიკას ესაჭიროება საერთაშორისო არეალი. პრინციპები და წესები, რომლებიც სოციალურ და საბაზრო ეკონომიკაზე

2009 წლის 8 ივლისი

ორიგინალში ხელს აწერენ:

პროფესორი ბერნარდ ვოგელი, ყოფილი პრემიერმინისტრი, კონრად ადენაუერის ფონდის თავმჯდომარე

პროფესორი ჰანს-გერტ პოტერინგი, ევროპარლამენტის პრეზიდენტი

პროფესორი ჩეს ვერმანი, „Wetenschappelijk Instituut voor het CDA“ თავმჯდომარე

იოზეფ დაული, ფრაქცია EVP-ს თავმჯდომარე ევროპარლამენტში

დოქტორი ვილფრიდ მარტენსი, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე